

შპს ტოპ გრუპი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	6
3. კომპანიის მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	10
5. სავაჭრო მოთხოვნები	10
6. გადახდილი ავანსები	10
7. ძირითადი საშუალებები	11
8. გაცემული სესხები	12
9. სავაჭრო ვალდებულებები.....	12
10. გამოუმუშავებელი შემოსავალი	12
11. სესხები	13
12. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	13
13. შემოსავალი მომსახურებიდან.....	13
14. მომსახურების მომწოდებლებისა და მასალების დანახარჯი.....	14
15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14
16. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	15
17. სხვა შემოსავლები	15
18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	15
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	16

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-2022	31-12-2021	31-12-2020
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	22,653	99,715	309,778
სავაჭრო მოთხოვნები	5	200,758	513,705	295,193
გადახდილი ავანსები	6	47,737	69,114	9,642
მოთხოვნა არასაკონტროლო პაკეტის მფლობელების მიმართ		-	-	49,403
სხვა მიმდინარე აქტივები		11,463	5,098	9,850
სულ მოკლევადიანი აქტივები		282,611	687,632	673,866
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	114,329	140,494	187,296
გაცემული სესხები	8	484,937	480,641	493,407
ინვესტიციები		14,194	14,194	14,330
სულ გრძელვადიანი აქტივები		613,460	635,329	695,033
სულ აქტივები		896,071	1,322,961	1,368,899
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	9	208,780	197,089	242,851
გამოუმუშავებელი	10	439,516	239,739	259,874
შემოსავალი				
სესხები	11	289,904	30,120	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	364,485	285,218	99,168
სულ ვალდებულებები		1,302,685	752,166	601,893
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		(470,655)	501,958	703,268
არასაკონტროლო პაკეტი		64,041	68,837	63,738
სულ საკუთარი კაპიტალი		(406,614)	570,795	767,006
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		896,071	1,322,961	1,368,899

აღმასრულებელი დირექტორი -----

ვახტანგ ვახტანგიშვილი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი მომსახურებიდან	13	6,025,016	6,121,924
მომსახურების მომწოდებლებისა და მასალების დანახარჯი	14	(2,303,896)	(2,024,765)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(793,506)	(603,170)
ხელფასები და სხვა სარგებელი	16	(3,969,229)	(3,665,799)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	7	(52,042)	(66,359)
სხვა შემოსავლები	17	160,403	16,267
სხვა ხარჯები		(8,024)	(5,122)
ზარალი პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		(941,278)	(227,024)
საპროცენტო შემოსავალი		3,268	52,300
საპროცენტო ხარჯი		(17,617)	(3,659)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(21,782)	(17,828)
ზარალი დაბეგვრამდე		(977,409)	(196,211)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი, საიდანაც:		(977,409)	(196,211)
<i>მშობელი საწარმოს მფლობელთა წილი</i>		<i>(972,613)</i>	<i>(201,310)</i>
<i>არასაკონტროლო პაკეტის წილი</i>		<i>(4,796)</i>	<i>5,099</i>

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	გაუნაწილებელი მოგება	არასაკონტროლო პაკეტი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარი	703,268	63,738	767,006
წმინდა ზარალი	(201,310)	5,099	(196,211)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	501,958	68,837	570,795
წმინდა (ზარალი)/მოგება	(972,613)	(4,796)	(977,409)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	(470,655)	64,041	(406,614)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ტოპ გრუპი დაფუძნდა 2008 წელს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: თბილისი, პ. ქავთარაძის ქუჩა N4. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 205249667. კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

ლევან ლევსვერიძე (ს/კ 01024051720) – 25%

ირაკლი თევზაძე (ს/კ 01024051406) - 25%

ვახტანგ ვახტანგიშვილი (ს/კ 01019017614)-25%

გიორგი ბურჭულაძე (ს/კ 01008033349)- 25%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სარეკლამო საქმიანობა, სოციალური მედიის მართვა, მარკეტინგული კამპანიების შექმნა, აპლიკაციების გაყიდვა და სხვადასხვა ტრენინგების ჩატარება. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული აღმასრულებელი დირექტორი - ვახტანგ ვახტანგიშვილი და გენერალური დირექტორი - გიორგი ბურჭულაძე, რომლებიც ფლობენ კომპანიის 25%-25% წილებს.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილებს, მეკავშირე საწარმოებსა და ინვესტიციებს:

მფლობელი:	კომპანიაში:	31.12.2022 მფლობელობა	ყიდვის/დაარსების წელი	კლასიფიკაცია
შპს ტოპ გრუპი	შპს ლივინგსტონ ლაზ	80.0%	2014	შვილობილი
შპს ტოპ გრუპი	შპს არეალი ინქ.	78.4%	2015	შვილობილი
შპს ტოპ გრუპი	შპს ნებულა	40.0%	2015	მეკავშირე
შპს ლივინგსტონ ლაზ	შპს ოულ გრუპი	40.0%	2016	მეკავშირე
შპს ლივინგსტონ ლაზ	შპს ატომსტუდიო	40.0%	2016	მეკავშირე
შპს ტოპ გრუპი	LUCKSTOCK INC	4.05%	2017	ინვესტიცია

აღსანიშნავია რომ შპს ნებულასა და შპს ოულ გრუპს ჰქონდათ აკუმულირებული ზარალი 2022, 2021 და 2020 წლებში. შესაბამისად, ფას-ის თანახმად, აღრიცხულნი არიან ნულოვანი საბალანსო ღირებულებით. შპს ატომსტუდიოს 2022, 2021 და 2020 წლებში ჰქონდა გაუნაწილებელი მოგების დადებითი ნაშთი. უმნიშვნელო ნაშთიდან გადმომდინარე, ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში, შპს ატომსტუდიოში, წარმოდგენილია სხვა ინვესტიციებთან ერთად, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ხოლო კომპანიის წილი მოგება/ზარალი მეკავშირე საწარმოდან, შპს ატომსტუდიოდან,

წარმოდგენილია სხვა შემოსავლებში/ხარჯებში, კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე ახორციელებს მომსახურების ექსპორტს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. 2022 წლის 31

დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.4 სესხები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული თანხით, რომელსაც აკლდება საკომისიო და სესხის აღების ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სესხების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3.5 შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. შემოსავალი არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.7 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, საკონსულტაციო და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

ჯგუფს ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. ასევე ყოველდღიური საქმიანობისთვის კომპანიას პერიოდულად აქვს ფული სალაროში.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-2022	31-12-2021
ფული სალაროში	-	2,880
ფული საბანკო ანგარიშებზე	22,653	96,835
სულ	22,653	99,715

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იმ დებიტორებისგან, რომელთაც ჯგუფმა გაუწია მომსახურება და რომელთაგანაც მომსახურების თანხა ჯერ არ იყო ჩარიცხული 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯამში ჯგუფს გააჩნდა 70-მდე დებიტორი როგორც 2022 წლის ბოლოს, ასევე 2021 წლის ბოლოს.

6. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები შედგება სხვადასხვა მომსახურებისა და პროდუქციის შესყიდვის მიზნით მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსებისგან. აღნიშნული ავანსების ხარჯში/აქტივად აღიარება მოხდება შესაბამისი მომსახურების ან აქტივის მიღების შემდგომ. ჯამში კომპანიას ჰქონდა გადახდილი ავანსი 40-მდე მომწოდებელზე 2022 წლის ბოლოს.

7. ძირითადი საშუალებები

2022 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	81,242	-	81,242
ოფისის აღჭურვილობა	472,966	24,666	497,632
ავეჯი და სხვა ინვენტარი	52,291	1,211	53,502
სულ	606,499	25,877	632,376

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	42,469	8,128	50,597
ოფისის აღჭურვილობა	386,642	40,350	426,992
ავეჯი და სხვა ინვენტარი	36,894	3,564	40,458
სულ	466,005	52,042	518,047

2021 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	81,242	-	81,242
ოფისის აღჭურვილობა	456,955	16,011	472,966
ავეჯი და სხვა ინვენტარი	48,745	3,546	52,291
სულ	586,942	19,557	606,499

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	34,038	8,431	42,469
ოფისის აღჭურვილობა	332,847	53,795	386,642
ავეჯი და სხვა ინვენტარი	32,761	4,133	36,894
სულ	399,646	66,359	466,005

8. გაცემული სესხები

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხების საბალანსო ნაშთები შემდეგია:

გაცემული სესხები	31-12-2022	31-12-2021
მეკავშირე საწარმო	452,654	449,386
თანამფლობელი	5,992	4,964
სხვა დაკავშირებული მხარე	26,291	26,291
სულ	484,937	480,641

9. სავაჭრო ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებების საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-2022	31-12-2021
ვალდებულებები სოციალური მედიის მიმართ	34,459	36,528
ვალდებულებები საძიებო სისტემის მიმართ	24,036	25,267
ვიზას პროექტის ფარგლებში წარმოშობილი ვალდებულებები	9,326	69,939
სხვა	140,959	65,355
სულ	208,780	197,089

10. გამოუმუშავებელი შემოსავალი

გამოუმუშავებელი შემოსავალი შედგება კლიენტი კომპანიების მიერ მომსახურებისთვის ჩარიცხული ავანსებისგან. აღნიშნული ავანსების შემოსავალში აღიარება მოხდება მომსახურების გაწევის შემდგომ. ჯამში ჯგუფს ჰქონდა მიღებული ავანსი 20-ზე მეტი კლიენტი კომპანიისგან 2022 წლის ბოლოს.

11. სესხები

ჯგუფს აქვს აღებული სესხები დაკავშირებული მხარეებისა და კომერციული ბანკისგან. 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სესხები	31-12-2022	31-12-2021
კომერციული ბანკი	250,000	-
დაკავშირებული ფიზიკური პირი	9,323	27,023
მეკავშირე საწარმო	3,338	3,097
სხვა დაკავშირებული პირი	27,243	-
სულ	289,904	30,120

12. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	31-12-2022	31-12-2021
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	41,637
საპენსიო შენატანის ვალდებულებები	326,020	173,632
საგადასახადო ვალდებულებები	38,465	69,949
სულ	364,485	285,218

13. შემოსავალი მომსახურებიდან

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი წყაროები იყოფა შემდეგ ძირითად კატეგორიებად:

- მარკეტინგული საქმიანობა
- ტრენინგები და საგანმანათლებლო ღონისძიებები
- სასტუმროების მართვის ონლაინ პლატფორმა

შემოსავლების კატეგორიებად ჩაშლა წარმოდგენილია ქვემოთ:

შემოსავალი მომსახურებიდან	2022	2021
მარკეტინგული საქმიანობა	5,610,771	5,771,475
ტრენინგები და საგანმანათლებლო ღონისძიებები	117,853	220,518
სასტუმროების მართვის ონლაინ პლატფორმა	296,392	129,931
სულ	6,025,016	6,121,924

14. მომსახურების მომწოდებლებისა და მასალების დანახარჯი

საკუთარი მომსახურების გაწევისას, რიგ შემთხვევებში, ტოპ გრუპი სარგებლობს მესამე მხარეების მომსახურებებით. კერძოდ, კომპანია ახდენს სხვადასხვა მომსახურებისა და პროდუქციის შესყიდვას, როგორც იურიდიული ასევე, ფიზიკური პირებისგან. გარდა ამისა, განხორციელებული პროექტების ფარგლებში, კომპანიას უწევს მასალების შეძენა და უტილიზაცია.

ამ დანახარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

მომსახურების მომწოდებლებისა და მასალების დანახარჯი	2022	2021
მომსახურების მომწოდებლების დანახარჯი	2,221,816	1,553,772
მასალების დანახარჯი	82,080	470,993
სულ	2,303,896	2,024,765

15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2022	2021
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	261,050	131,185
საკონსულტაციო ხარჯი	136,396	98,195
იჯარის ხარჯი	129,795	133,757
დაზღვევის ხარჯი	38,371	35,039
თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების ხარჯები	34,782	15,622
სამიეზო სისტემის მომსახურების ხარჯი	30,719	31,855
მივლინების ხარჯები	3,237	20,894
საბანკო ხარჯი	4,667	5,302
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯი	2,291	2,525
წარმომადგენლობითი ხარჯი	1,525	1,008
სხვა	150,673	127,788
სულ	793,506	603,170

16. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს ჯგუფის მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2022	2021
სახელფასო ხარჯი	3,883,112	3,574,295
საპენსიო სარგებელი	86,117	91,504
სულ	3,969,229	3,665,799

17. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

სხვა შემოსავლები	2022	2021
მიღებული გრანტი	160,403	-
სხვა	-	16,267
სულ	160,403	16,267

18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

18.1 გაცემული სესხები

2022 წლის ბოლოსა და 2021 წლის ბოლოს მდგომარეობით ჯგუფს გაცემული ჰქონდა შემდეგი სესხები დაკავშირებულ მხარეებზე:

გაცემული სესხები	31-12-2022	31-12-2021
მეკავშირე საწარმო	452,654	449,386
თანამფლობელი	5,992	4,964
სხვა დაკავშირებული მხარე	26,291	26,291
სულ	484,937	480,641

18.2 აღებული სესხები

2022 წლის ბოლოსა და 2021 წლის ბოლოს მდგომარეობით ჯგუფს აღებული ჰქონდა შემდეგი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან:

სესხები	31-12-2022	31-12-2021
დაკავშირებული ფიზიკური პირი	9,323	27,023
მეკავშირე საწარმო	3,338	3,097
სხვა დაკავშირებული პირი	27,243	-
სულ	39,904	30,120

18.3 მენეჯმენტის კომპენსაცია

2022 და 2021 წლებში მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 577,298 ლარი და 444,246 ლარი შესაბამისად.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2023 წელს ანგარიშგების გამოქვეყნებამდე, კომპანიამ აიღო რამდენიმე სესხი:

- დაკავშირებული ფიზიკური პირისგან - 125,497 ლარის სესხი 1 წლის ვადით, საიდანაც უკვე დაფარულია 83,722 ლარი.
- სხვა დაკავშირებული პირისგან - 21,000 ლარის სესხი 1 წლის ვადით.